

ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N6

თბილისი, 24 ივნისი, 2021

ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) მიერ შემუშავებული ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივ სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1. **ლევან გორდეზიანი** - ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გურანდა ჭელიძე** - ისტორიის დოქტორი, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი - **საბჭოს მდივანი;**
3. **თეიმურაზ პაპასქირი** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - **საბჭოს წევრი;**
4. **ლევან ჯიქია** - ისტორიის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი, - **საბჭოს წევრი;**
5. **როინ ყავრელიშვილი** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
6. **ზურაბ პაპასქირი** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მუდმივი პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
7. **ჯემალ კარალიძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
8. **ინგა აბრამიძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მსოფლიო ისტორიის მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **საბჭოს წევრი;**
9. **ცირა ჩიკვაძე** - ისტორიის დოქტორი, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების თანახელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**

10. მანანა ჯავახიშვილი - ისტორიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ისტორიის მიმართულებით - საბჭოს წევრი;
11. თენგიზ სიმაშვილი - ისტორიის დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- თამარ მახარაშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
- ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის კოორდინატორი;
- ქეთევან ფანჩულიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
- ნინო გოგლიჩიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე. კვალიფიკაციების სამმართველოს სპეციალისტი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 13 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა წარადგინა სხდომის დღის წესრიგი, კერძოდ: საჯარო განხილვის ფარგლებში შეჯერებული ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესახებ საბჭოს წევრთა მოსაზრებების მოსმენა დოკუმენტში საბოლოო კორექტივების შეტანის მიზნით.

მოისმინეს

1. ცირა ჩიკვაიძის წინადადება დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების ქვეთავის მე-2 აბზაცთან დაკავშირებით. მისი თქმით, მეორე აბზაცსა და ამავე ქვეთავის სქოლიოში მოცემული ინფორმაცია იდენტურია და სასურველია წაიშალოს. საკითხს გამოეხმაურნენ თეიმურაზ პაპასქირი და ლევან გორდეზიანი. თეიმურაზ პაპასქირის აზრით, სქოლიოში მითითებულ ინფორმაციაში არ მეორდება სწავლის შედეგების მეორე აბზაცში მითითებული

ინფორმაცია. ლევან გორდეზიანის აზრით, სასურველია სქოლიოში მითითებული ინფორმაცია გადმოტანილ იქნეს სწავლის შედეგების ქვეთავში მე-3 აბზაცად.

2. თეიმურაზ პაპასქირის მოსაზრებით, „მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის” ქვეთავიდან სასურველია კვალიფიკაციების ინგლისურენოვანი ფორმულირებები წაიშალოს, რადგან ინგლისურენოვანი ფორმულირება არის თარგმნილი ქართული ვერსიიდან და არ შეესაბამება საერთაშორისოდ დამკვიდრებულ კვალიფიკაციების ფორმულირებას ისტორიის სეფროში. აღნიშნულს გამოეხმაურა ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის უფროსი ქეთევან ფანჩულიძე და საბჭოს თავმჯდომარე ლევან გორდეზიანი, ისინი დაეთანხმნენ აღნიშნული ცვლილების განხორციელებას.
3. ცირა ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტში საჭიროა რამდენიმე კორექტურული ხარვეზის გასწორება და ფორმატირების თვალსაზრისით ტექნიკური მხარის გამართვა.
4. ქეთევან ფანჩულიძის წინადადებით სასურველია დარგობრივი მახასიათებლის ინგლისურენოვანი სახელწოდება და აკადემიური განათლების საფეხურების მითითება ინგლისურად, შესავლის ქვეთავის ნაცვლად თავფურცელზევე გაკეთდეს, რადგან ეს გაამარტივებს დოკუმენტის შინაარსით დაინტერესებული პირებისთვის მის მოძიებას.
5. თეიმურაზ პაპასქირის ინიციატივით საბჭომ კიდევ ერთხელ იმსჯელა მაგისტრატურის საფეხურის უნარების კომპონენტში კურსდამთავრებულის კომპეტენციად უცხო ენაზე კომუნიკაციის მითთვის მიზანშეწონილობის შესახებ.
6. უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის წარმომადგენელმა, ლაშა მაჭარაშვილმა საბჭოს წევრებს სთხოვა განესაზღვრათ ისტორიის მიმართულებით არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის ოპტიმალური ვადა. საკითხს გამოეხმაურა ლევან გორდეზიანი, თეიმურაზ პაპასქირი, გურანდა ჭელიძე, ცირა ჩიკვაიძე, თენგიზ სიმაშვილი, და ცენტრის წარმომადგენელი ქეთევან ფანჩულიძე.

ლევან გორდეზიანის აზრით, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება შესაძლებელია გავრცელდეს მისი დამტკიცებიდან 1 აკადემიური სემესტრის, ან უფრო მეტის სასურველია 1 წლის ვადაში ყველა მოქმედი პროგრამისთვის, და იმ პროგრამებისთვის, რომლებმაც ბოლო წლებში მოიპოვეს 7 წლიანი აკრედიტაცია, პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანამ არ უნდა შექმნას ხელახალი აკრედიტაციის ვალდებულება. მისი თქმით, მიღებული გადაწყვეტილება მისაღები უნდა იყოს უსდ-ებისთვის. თეიმურაზ პაპასქირის აზრით, კლასტერული აკრედიტაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში უსდ-ები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ კლასტერული აკრედიტაცია ნებაყოფლობითი იქნებოდა, აღნიშნული ვალდებულების დაკისრება უნივერსიტეტებისთვის დიდ ფინანსური და ადამიანური რესურსების მოძიების აუცილებლობას გააჩენს, და არასამართლიანია, რადგან მოპოვებული აკრედიტაციის შემდეგ კლასტერული აკრედიტაციის პროცესს არ უნდა ჰქონდეს უკუგების ძალა და არ უნდა გახდეს კანონიერად მოპოვებული აკრედიტაციის ვადის შემცირების საფუძველი. მისი თქმით აღნიშნული გამოიწვევს უნივერსიტეტების სერიოზულ უკმაყოფილებას. ცირა ჩიკვაიძისა და

თენგიზ სიმაშვილის აზრით, აღნიშნული დააზარალებს იმ უსდ-ებს, რომლებმაც ბოლო წლებში მოიპოვეს აკრედიტაცია, საჭირო გახდება მთელი ფინანსური და ადამიანური რესურსის ამ მიმართულებით კონცენტრირება, რაც პანდემიის პირობებში შეუძლებელია, გურანდა ჭელიძის აზრით, აღნიშნული ვალდებულება უნდა გავრცელდეს იმ უსდ-ებზე, რომლებიც ახლა აპირებენ ისტორიის პროგრამების აკრედიტებას. გურანდა ჭელიძის აზრით, რადგან კლასტერულია კრედიტაციის პროცესი გულისხმობს პროგრამების შესაბამისობაში მოყვანას 2022 წელს, სასურველია შესაბამისობაში მოყვანის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022-ის მარტი-აპრილის პერიოდი, აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმა. ლაშა მაჭარაშვილის თქმით, ასეთი არის მოცემულობა, და ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის კლასტერული აკრედიტაციის ვადები განისაზღვრება 2022 წლის ბოლომდე, აკრედიტაციის პრიცესის ყველა საქმისწარმოებას სჭირდება 6 თვე და პროგრამების ისტორიის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად ცენტრში მიმდინარე დისკუსიების თანახმადაც უნდა განისაზღვროს მარტი ან აპრილის თვე.

ლაშა მაჭარაშვილისგან საბჭოს წევრებმა ითხოვეს განმარტება, არის თუ არა ცენტრის მხრიდან სავალდებულო მოთხოვნა 2022 წელს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა და მათი რეაკრედიტაცია. ლაშა მაჭარაშვილმა განმარტა, რომ კლასტერული აკრედიტაცია გულისხმობს, რომ ყველა უსდ-მ, რომლებიც ისტორიის მიმართულებით ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, 2022 წლსთვის შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამები და ხელახლა გაიარონ აკრედიტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ველარ შეძლებენ აღნიშნული მიმართულებით პროგრამების განხორციელებას. აღნიშნულმა საბჭოს წევრების უკმაყოფილება გამოიწვია, მათი თქმით, იმ დაწესებულებებისთვის ხელახალი აკრედიტაციის დავალდებულება, ვისაც უკვე მოპოვებული აქვს 7 წლიანი აკრედიტაცია და მომავალ წელს არ უწევს აკრედიტაცია, არ არის სამართლიანი.

აღნიშნულს დაეთანხმა გურანდა ჭელიძე, მისი თქმით, კლასტერული აკრედიტაციის პროცესი გულისხმობს, რომ სავალდებულოა პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში 2022 წლის მარტი-აპრილის თვეში მოვიდეს. აღნიშნულს არ დაეთანხმა ლევან გორდეზიანი, მისი აზრით, თუ ეს რეგულაცია ყველა უსდ-ზე სავალდებულოდ გავრცელდება, მაშინ ამ დოკუმენტში დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის ვადების განსაზღვრა აზრსმოკრებულია, თუ იმ პროგრამებისთვის, ვისაც 2022 წელს არ გასდის აკრედიტაციის ვადა და რეაკრედიტაცია არ იქნება სავალდებულო, პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ოპტიმალური პერიოდი იქნება 1 წელი, აღნიშნულს დაეთანხმა თეიმურაზ პაპასქირი.

თეიმურაზ პაპასქირის აზრით, თუ უსდ-ები ორიენტირებულნი იქნებიან აკრედიტაციაზე, ეს გავლენას იქონიებს სწავლების ხარისხზე. ამათან ძალზედ არასამართლიანია იმ დაწესებულებების ისტორიის პროგრამების რეაკრედიტაცია, რომლებმაც წინა წელს გაიარეს აკრედიტაცია. ლაშა მაჭარაშვილის თქმით აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარე

შეხვედრაზე არ არის მართებული, საბჭომ უნდა განსაზღვროს მხოლოდ ოპტიმალური ვადა დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანისთვის. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა ამ მიმართულებით საბჭოს წევრების მხრიდან გასაგებია, რადგან ისინი ითვალისწინებენ იმ დაწესებულებების რეალიებს, რომლებსაც წარმოადგენენ, აღნიშნულს არ დაეთანხმა ლევან გორდეზიანი, მისი თქმით თსუ-ს ისტორიის პროგრამებს 2022 წელს ისედაც უწევს აკრედიტაცია, მაგრამ აღნიშნული დამოკიდებულება არ არის სამართლიანი და პრინციპულად მიუღებელია, რომ სხვა დაწესებულებებისთვის, რომლებსაც 2022 წლისთვის არ ეწურებათ აკრედიციის ვადა.

აღნიშნულ დისკუსიას შემოუერთდა ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი ლევან გორდეზიანმა და ცირა ჩიკვაძემ კიდევ ერთხელ დასვეს შეკითხვა დარგობრივ მახასიათებელთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, მათი თქმით, რამდენად სწორად იყვენ უსდ-ები ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ 7 წლიანი აკრედიტაცია, რომლებიც მათ 1 ან 2 წლის წინ მოიპოვეს, კლასტერული აკრედიტაციის პროცესში ყოველი მათგანისთვის სავალდებულო გახდებოდა რეაკრედიტაცია. თამარ მახარაშვილის თქმით, გაუგებარია რატომ განიხილებოდა დარგობრივი საბჭოს სხდომაზე აკრედიტაციის საკითხები, რაზეც ლევან გორდეზიანმა განმარტა, რომ დაისვა საკითხი პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ამ ვადებზე საუბრისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ თუ ცენტრის გადაწყვეტლებით 2022-ში ისტორიის ყველა პროგრამისთვის სავალდებულო იქნება რეაკრედიტაცია, დარგობრივ მახასიათებელში აღარ უნდა ჩაიწეროს შესაბამისობაში მოყვანის ვადა.

ერთია დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამები რომ უნდა მოვიდნენ შესაბამისობაში და მეორეა ცენტრი როგორ დააღაგებს კლასტერული აკრედიტაციის პროცედურებს, საკითხი, თუ როგორ გაატარებს ცენტრი რეაკრედიტაციას იმ პროგრამებს, რომლებმაც 1 ან 2 წლის წინ გაიარეს აკრედიტაცია არანაირ ბმაში არ არის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტთან. ცენტრმა უსდ-ებთან გაიარა კონსულტაციები კლასტერული აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებით და შეგროვდა მათი უკუკავშირები, ცენტრს აწყობილი აქვს რეაკრედატიციის სქემა მათთვის, ვისაც 2-3 წელიწადში უწევს აკრედიტაცია. ჩვენ მათ 2 წლის თავზე რეაკრედიტაციას არ მოვთხოვთ ეს ცალკე თემაა, პირიქით, ცენტრის გათვლებით, პროგრამების უმრავლესობას უხანგრძლივდება აკრედიტაციის ვადა, დარგობრივმა საბჭომ უნდა განსაზღვროს გონივრული ვადა პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ხოლო იმ პროგრამებისთვის, რომლებმაც, მაგ., 1 ან 2 წლის წინ მიიღო აკრედიტაცია, ინდივიდუალურად შეთანხმდება რეაკრედიტაციის და კლასტერულ ფორმატზე გადასვლის დეტალები. დარგობრივი მახასიათებელი სულ რომ არ შექმნილიყო, კლასტერული აკრედიტაციის პროცედურები მაინც დაიწყებოდა და ამ დეტალების განხილვა სხდომაზე ვერ მოხდებოდა. მისი თქმით, 2022 წელს პროგრამები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს დარგობრივ მახასიათებლებთან, აკრედიტაციის პროცესში ყველა

უნივერსიტეტის ინტერესი იქნება გათვალისწინებული და არავინ დაზარალდება, მიმდინარეობს იმ მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ინდივიდუალურად დაარეგულირებს უკვე აკრედიტაციაგავლილი პროგრამების საკითხს თითოეულ უნივერსიტეტთან. „რეაკრედიტაცია სავალდებულო არ არის“ ასეთი ფორმულირებით ნუ შევაჯამებთ შეხვედრას, რა ფორმით მოახდენს სისტემა კლასტერული აკრედიტაციის პროცესის წარმართვას იმ პროგრამებისთვის რომლებმაც 1 ან 2 წლის წინ გაიარეს აკრედიტაცია ცენტრი ამ საკითხს დაწესებულებასთან ინდივიდუალურად გაივლის. ცენტრი ამ პროცედურებს დაახლოებით 1 თვეში დაასრულებს და შესაბამისი ინფორმაცია ყველა უსდ-სთვის გახდება ცნობილი. მისი თქმით სწორედ ამ მიზნით მიმდინარეობს კლასტერული აკრედიტაციის პროცესი, რომელიც კონკრეტული მიმართულების პროგრამებზე გააკეთებინებს აქცენტს უსდ-ებს.

საბჭოს წევრებმა თამარ მახარაშვილს მადლობა გადაუხადეს განმარტებისთვის.

ცენტრის წარმომადგენელმა ლაშა მაჭარაშვილმა საბჭოს წევრებს მოუწოდა, მხედველობაში არ მიიღონ მისი განმარტებები და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაეყრდნონ ქალბატონი თამარ მახარაშვილის მოსაზრებას.

გურანდა ჭელიძემ განაცხადა რომ მაინც მხარს უჭერს ლაშა მაჭარაშვილის მოსაზრებას და სასურველია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ვადად განისაზღვროს 2022 წლის მარტი აპრილი. საკითხს გამოეხმაურა ქეთევან ფანჭულიძე, მისი თქმით, 3-6 თვე რამდენად ოპტიმალური იქნება პროგრამების შესაბამისობაში მოსაყვანად, სასურველია სხვა საგანმანათლებლო პროცესებს, მაგ., ანკეტა-კითხვარებს დაუკავშირონ ვადის განსაზღვრა. თეიმურაზ პაპასქირის მოსაზრებით, ეს საკითხი შესაბამისობაში მოყვანის ვადებს არ უკავშირდება. საბჭოს წევრების აზრით, 3 თვე ძალიან მოკლე ვადაა პრიორიტეტების შესაბამისობაში მოსაყვანად, მინიმუმ 1 სემესტრი თუ ძალიან შემჭიდროვებული ვადები არ არის ცენტრის მიერ განსაზღვრული, 1 წელი უფრო ოპტიმალური ვადაა. თეიმურაზ პაპასქირის აზრით, ვადების შემჭიდროვების საფუძველი არ არსებობს, ვისაც 2022 ში მოუწევს აკრედიტაცია, ისინი ისედაც 2022-ის მარტი-აპრილში შემოიტანენ განაცხადს.

თეიმურაზ პაპასქირის თქმით, ეს პროგრამების შესაბამისობის მოყვანის საკითხი რატომ არ დადგა საჯარო განხილვის პროცესში, ამის შესახებ ცენტრს თავიდანვე უნდა მოეხდინა დარგობრივი საბჭოს წევრების ინფორმირება.

აღნიშნული საკითხი თენგიზ სიმაშვილისა და საბჭოს სხვა წევრების თხოვნით ლევან გორდეზიანმა დააყენა კენჭისყრაზე. გურანდა ჭელიძის თქმით სასურველია აღნიშნული გადაწყვეტილება 5.4 პუნქტად აისახოს დარგობრივ მახასიათებელში.

7. საბჭოს თავმჯდომარემ ლევან გორდეზიანმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს:

1. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება. და სწავლის შედეგების ქვეთავში მე-3 აბზაცად დაემატა შემდეგი წინადადება „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე მოახდინოს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურითა (არა სამ კატეგორიად გაყოფილი) და ფორმულირებით ჩამოყალიბება.“
2. „მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის“ ქვეთავში კვალიფიკაციების ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში ან ისტორიის ბაკალავრი; უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია – ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ისტორიაში ან ისტორიის მაგისტრი ან დეტალური სწავლის სფეროს მაგისტრი.“
3. საბჭომ გაიზიარა ცირა ჩიკვაიძის რეკომენდაციები.
4. საბჭომ გაიზიარა ქეთევან ფანჩულიძის რეკომენდაცია და დარგობრივი მახასიათებლისა და უმაღლესი განათლების საფეხურების შესახებ ინფორმაცია განათავსა დარგობრივი მახასიათებლის თავფურცელზე.
5. საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ლევან გორდუზიანის, ცირა ჩიკვაიძის, გურანდა ჭელიძისა და თეიმურაზ პაპასქირის მოსაზრებით აღნიშნული კომპეტენცია უნდა დარჩეს მინიმალურ კომპეტენციად მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის.
6. საბჭოს წევრებმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყვიტეს, რომ ისტორიის დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განისაზღვროს მაქსიმუმ 1 წელი. ეს ინფორმაცია შესაძლებელია დაემატოს დარგობრივ მახასიათებელს 5.4 პუნქტთან, ქეთევან ფანჩულიძის აზრით, მთავარია საბჭო შეთანხმდეს ოპტიმალურ ვადაზე და აღნიშნული ცენტრის იურისტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ ან აისახება დარგობრივ მახასიათებელში ან დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების ბრძანებაში.
7. საბჭოს წევრებმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყვიტეს რომ დამტკიცდეს ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი.

საჯარო განხილვის შედეგად ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებული პროექტი ჩამოყალიბდეს **დანართი 1-ის** შესაბამისად.


სხდომა დასრულდა 12:30-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

ლევან გორდუზიანი



საბჭოს მდივანი
გურანდა ჭელიძე



დანართი 1

დანართი N3

ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
Subject benchmark statement in History
უმაღლესი განათლების I და II საფეხურები
I and II levels of higher education

2021 წელი

I.შესავალი

ისტორიის დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც ისტორიის სფეროში უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ მინიმალურ სწავლის შედეგებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს. წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება ისტორიის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს ისტორიის საბაკალავრო (I საფეხური) ან/და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის აღიარებასა და მობილობას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. წინამდებარე მახასიათებლით დადგენილი კურსდამთავრებულთა კომპეტენციები ქმნის წინაპირობას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების რეალიზებისთვის, პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ისტორიის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ მინიმალურ კომპეტენციებს, რომლებიც კურსდამთავრებულს ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის დასრულებისას ექნება.

ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის გამოყენება მიზანშეწონილია:

- ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ფარგლებში, სასწავლო კურსების შემუშავება/განვითარება/სრულყოფასა და სწავლების პროცესში ჩართულ პირთათვის;
- აბიტურიენტებისა და სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ, მიიღონ ინფორმაცია, თუ რა კომპეტენციები ექნებათ ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისა და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის, რომლებსაც სურთ, მიიღონ ინფორმაცია, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს ფლობს ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული;

- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დასადგენად დარგის თანამედროვე მიღწევებთან/გამოცდილებასა და სფეროს განვითარების ტენდენციებთან.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

ისტორიის დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, დასაქმების ბაზრისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ისტორია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის წარსულს. ისტორიის მიზანია, სხვადასხვა სახის მოვლენების (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ.) შესწავლისას, დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები, გააანალიზოს შედეგები და, ამის საფუძველზე, განსაზღვროს გარკვეული კანონზომიერება, რომელსაც მისდევს ისტორიული პროცესი. ყოველივე ეს წარსულის გამოცდილების აწმყოში გადმოტანის საშუალებას იძლევა. ისტორია არასოდეს ყოფილა მხოლოდ შემეცნებითი დატვირთვის მეცნიერების განყენებული დარგი, რომელიც უბრალოდ სწავლობს ადამიანთა საზოგადოების წარსულს – ის ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყო გააზრებული, როგორც ერთგვარი ცხოვრების გზამკვლევი. მოგვიანებით, ისტორიული წარსულის ცოდნა-გაანალიზების მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ უფრო დაზუსტდა და ის აღიარებულ იქნა თანამედროვეობის შეცნობისა და მომავლის განჭვრეტის საშუალებად.

თანამედროვე ისტორიული მეცნიერება, არსებული ემპირიული მასალების ანალიზის საფუძველზე, ცდილობს კაცობრიობის მიერ განვლილი გზის აღდგენას და ერთ მთლიანობაში წარმოაჩინოს. წერილობითი, მატერიალური, ზეპირსიტყვიერი და სხვა სახის წყაროების შესწავლის საფუძველზე, ისტორიკოსი ახდენს ფაქტების განზოგადებას, მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის დადგენასა და მათ შეფასებას. უშუალოდ საისტორიო წყაროების გარდა, ისტორიის შესწავლისას აქტიურად გამოიყენება მომიჯნავე სფეროების (მაგ. არქეოლოგია, ეთნოლოგია და სხვ.) მიღწევები და დამხმარე ისტორიული დისციპლინები: ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ნუმიზმატიკა, სფრაგისტიკა, ჰერალდიკა და ა.შ.

ისტორიის შესწავლა ხდება როგორც ქრონოლოგიური, ისე რეგიონალური პრინციპით. გარდა ამისა, არსებობს დაყოფა დარგობრივი პრინციპით: პოლიტიკური ისტორია, სამხედრო ისტორია, ეკონომიკური ისტორია, სოციალური ისტორია, სამართლის ისტორია და ა.შ.

ისტორიის სფეროს ახასიათებს ურთიერთკავშირის დამყარება წარსულის მოვლენებსა და გლობალურ პროცესებს შორის, მათი კრიტიკული გააზრება, ისტორიის სოციალური როლის განსაზღვრა და გამოყენება, ისტორიულ დროში ორიენტაცია, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა.

დასაქმების სფერო

ისტორიის ბაკალავრს/მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე, დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, კერძო სექტორში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ.

ისტორიის კონკრეტული სფეროების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (მაგალითად, საქართველოს ისტორიის მაგისტრი) უტოლდება ისტორიის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას.

დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილებისა და სფეროს განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე მოახდინოს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურითა (არა სამ კატეგორიად გაყოფილი) და ფორმულირებით ჩამოყალიბება.

3.1. ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

3.1.1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ხსნის უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ძირითად ეტაპებსა და პრინციპებს, ისტორიულ მოვლენებს სფეროს უახლესი გამოკვლევებისა და მიღწევების ფართო ცოდნაზე დაყრდნობით და განსაზღვრავს ცალკეული ისტორიული პერიოდისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს;
- ისტორიის რეკონსტრუქციისას აცნობიერებს ისტორიის მომიჯნავე/დამხმარე დისციპლინების მნიშვნელობას;
- ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქების, ქვეყნების, ხალხებისა და კულტურების ისტორიას;
- განიხილავს საკუთარი ქვეყნის ისტორიას მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში.

3.1.2. უნარი

კურსდამთავრებული:

- **მოიძიებს და აანალიზებს** პირველად ან/და მეორად ისტორიულ წყაროებს, ახდენს მათ კლასიფიკაციას და მოძიებული ინფორმაციის, მათი ურთიერთ შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარსულის რეკონსტრუქციას;
- **აყალიბებს** კითხვებს და **პასუხობს** მათ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით.
- **მსჯელობს** ისტორიოგრაფიული პრობლემების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- **იყენებს** ისტორიული კვლევების, ისტორიის თეორიისა და მეთოდოლოგიის ზოგიერთ თანამედროვე მიდგომას, სფეროს შესაბამის ტერმინოლოგიურ აპარატს და ახდენს წარსულის კრიტიკულ ანალიზსა და მის ინტერპრეტაციას;
- **ქმნის** ნაშრომს/პროექტს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

3.1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- **პატივს** სცემს ცალკეულ ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებსა და კულტურას - როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს;
- ისტორიული მოვლენების შეფასებისას **იცავს** ეთიკურ ნორმებს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით;
- სწავლასა და საქმიანობას **ახორციელებს** ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით.

3.2. ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

3.2.1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული

- **ავლენს** ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სიღრმისეულ ცოდნას, ახდენს მათ ინტერპრეტაციასა და ანალიზს, **გამოკვეთს** მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;
- **ახასიათებს** და **კრიტიკულად აფასებს** ისტორიის დარგში არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;
- **აცნობიერებს** ისტორიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს.

3.2.2. უნარი

კურსდამთავრებული:

- საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით დამოუკიდებლად მოიძიებს სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებადშესწავლილ/ახლადამოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, ახდენს მათ სისტემატიზაციას და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევას დარგის შესაბამისი მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;
- წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;
- პროფესიული საქმიანობის დროს ახდენს მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

3.2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- ისტორიაში სენსიტიური და წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობა პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს;
- გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, ახდენს ადაპტირებას მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას.
- სფეროსათვის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით წერს სამეცნიერო ნაშრომს და შეაქვს წვლილი დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებში, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე დაფუძნებული, სწავლება-სწავლის მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს, პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას.

მნიშვნელოვანია დარგობრივი კომპენტენციების, განსაზღვრული ტრანსფერული უნარების იმპლემენტაცია სწავლისა და სწავლების პროცესში. პროგრამაში განსაზღვრული სწავლა/სწავლებისა და შეფასების მიდგომები უნდა ითვალისწინებდეს სწავლებისა და შეფასების რელევანტურ და ადეკვატურ მეთოდებს, ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას.

სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილი პროცედურების მიხედვით და უნდა ეფუძნებოდეს შეფასების შემდეგ პრინციპებს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას, გაზომვადობასა და გამჭვირვალობას.

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა სწავლის შედეგზე გასასვლელად, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის

გათვალისწინებით, სწავლება/სწავლა და შეფასების სტრატეგიების მრავალფეროვანი სპექტრიდან შეუძლია აირჩიოს და გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი.

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად საგანმანათლებლო აქტივობები შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით შეიძლება განისაზღვროს:

ინსტრუქციის მეთოდი (სწავლისა და სწავლების ტიპები): ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობები (ვორკშოპი), კონსულტაცია (ტუტორიალი), სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში), ინდივიდუალური მეცადინეობა, ელექტრონული რესურსით სწავლება; პრაქტიკა, პროექტი და ა.შ.

სასწავლო აქტივობის ტიპები: ჯგუფური მუშაობა: ისტორიული ტექსტების კითხვა და ანალიზი, წერა და პრეზენტაცია რელევანტური მასალების მოძიება, ჯგუფური მუშაობა სიტუაციურ ანალიზზე, ლექციაზე წარმოდგენილი თემების ინდივიდუალური გააზრება/რეფლექსია, დისკუსია/დებატები; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა, შეხვედრების გაძლოა და სხვ.

სწავლება-სწავლის პროცესში შესაძლებელია სწავლის შედეგებთან მიმართებით გამოყენებული იქნეს შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- გონებრივი იერიში;
- წიგნზე მუშაობა და დემონსტრირება;
- დედუქცია, ინდუქცია;
- ანალიზი და სინთეზი;
- და სხვა.

უნარი:

- ევრისტიკული მეთოდი;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- პრობლემაზე ან დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (PBL, TBL);
- გუნდური მუშაობა;
- პროექტის შემუშავება, მისი წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დისკუსია/დებატები;
- სასწავლო პრაქტიკა და ექსკურსიები (სასწავლო ექსპედიციები და ვიზიტები არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში);
- და სხვა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- დამოუკიდებელი სამუშაო (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება, სამაგისტრო ნაშრომი);
- გუნდური სამუშაო და თანამშრომლობითი საქმიანობა: ჯგუფური პროექტები, ფაქტების მოძიება, მტკიცებულებათა დამუშავების სამუშაოები და ა.შ;
- დისკუსია-დებატები (წარმოაჩენს არგუმენტაციის უნარ-ჩვევებს, ეთიკურ ნორმებს, აკადემიურ კეთილსინდისიერებას);

შეფასების კომპონენტები და მეთოდები

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს, როგორცაა სასწავლო აქტივობები: ლექციებზე დასწრება; ჩანაწერების გაკეთება; ინდივიდუალური მუშაობისთვის - ბიბლიოგრაფიის შექმნა; მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების კითხვა და შესწავლა; ჩანაწერებისა და მონახაზების კეთება. თანამონაწილეობა ჯგუფურ განხილვებში; თანამონაწილეობა ამოცანაზე დაფუძნებული ან პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების (PBL, TBL) გუნდში; ზეპირი და წერიტი ანგარიშის მომზადება და წარმოდგენა;

შეფასების ტიპები:

- ზეპირი გამოცდა;
- წერიტი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერიტი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- და სხვ.

თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლოა აერთიანებდეს შეფასების სხვადასხვა მეთოდებს:

- ტესტი
- ქვიზი
- კითხვა-პასუხი;
- ესე
- მოხსენებები; /სასემინარო მოხსენება;
- პრეზენტაცია;
- რეფერატი (წერიტი ნაშრომი);
- ჯგუფური სამუშაოს შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- შემთხვევის განხილვა/ანალიზი;
- თეზისი/სამაგისტრო ნაშრომი
- და ა.შ.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებასა და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ისტორიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა შესაბამისი რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

- სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ლაბორატორია;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და საკომუნიკაციო სისტემები;
- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო და მუდმივად განახლებადი მატერიალური და ელექტრონული წიგნადი ფონდი;
- ისტორიის სფეროში უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები;
- ისტორიის სფეროს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველყოფა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო სივრცეში და/ან შესაბამის პარტნიორ დაწესებულებებში გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულებების საფუძველზე შესაბამის ორგანიზაციებთან (არქივი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა და სხვ.).

5.3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია: *ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში ან ისტორიის ბაკალავრი*;
- უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია – *ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ისტორიაში ან ისტორიის მაგისტრი ან დეტალური სწავლის სფეროს მაგისტრი*.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

	სახელი გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ლევან გორდეზიანი	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელო ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
2	გურანდა ჭელიძე	შპს- კავკასიის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი
3	თეიმურაზ პაპასქირი	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელო ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	ლევან ჯიქია	ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი
5	დავით ჩოჩიშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
6	როინ ყავრელიშვილი	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
7	ზურაბ პაპასქირი	სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მუდმივი პროფესორი
8	ჯემალ კარალიძე	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

9	ინგა აბრამიძე	სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის მსოფლიო ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
10	ცირა ჩიკვაძე	შპს- საქართველოს უნივერსიტეტი	ისტორიის დეპარტამენტის უფროსი, ისტორიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების თანახელმძღვანელი, პროფესორი
11	მანანა ჯავახიშვილი	სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ისტორიის მიმართულებით
12	თენგიზ სიმაშვილი	სსიპ- იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი, პროფესორი
13	ნინო სანადირაძე	თბილისის მუზეუმების გაერთიანება	გენერალური დირექტორი